ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2960519

ნომერი: AR1456643

თარიღი : 15.11.2016

გაცემის თარიღი : 22.11.2016

გაცნობის თარიღი : 24.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი III , კორპუსი 9 , მიმდებარედ , ნაკვეთი 13/048 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:

- ს.ს. „დი ენდ ბი საქართველო“ კოდი: 404917131

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ღობის განთავსება ხდება სატრანსპორტო ზონა 1-ში (ტზ-1) სადაც ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილების მუხლი 15. მიხედვით :
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს;
ტზ-1 – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა;
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დაეთანხმება სატრანსპორტო ზონაში ღობის განთავსებას.
რაც შეეხება პანსუსის მოწყობას, საჭიროა აღნიშნულის მოწყობისას დაცულ იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის 41 დადგენილების მუხლი 5.-ით გათვალისწინებული ნორმები. თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული.
ასევე ვინაიდან პანდუსის მოწყობა ხდება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, საჭიროა აღნიშნულთან დაკავსირებით წარმოდგენილ იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
საჭიროა ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს მოთხოვნის ტექსტი და წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი, სრულყოფილი გაბარიტული ზომების ფერის და მასალის მითითებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.

აქვე გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.